მიკრობანკი კრისტალი

ქუთაისი, ნიკეას 22
ტელ: (032) 2 02 20 20 | *2244
contact@crystal.ge | www.crystal.ge
ს/კ : 212896570

<u>მოქმედია 2025 წლის 15 ივლისიდან</u>

პერსონალური მონაცემების დამუშავება

საინფორმაციო დოკუმენტი

წინამდებარე დოკუმენტით სს მიკრობანკი კრისტალი უზრუნველყოფს მომხმარებლებისათვის (მიმდინარე ან პოტენციური კლიენტები, საკონტაქტო პირები, უზრუნველყოფის მიმწოდებლები, სხვა დაკავშირებული პირები), როგორც იმავდროულად პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით მონაცემთა სუბიექტებისათვის, სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით ერთის მხრივ ინფორმირებული თანხმობის მოპოვების მიზნიდან გამომდინარე, ხოლო მეორეს მხრივ მონაცემთა სუბიექტებისათვის მათი უფლებების და ამ უფლების რეალიზებისათვის საჭირო ინფორმაციის მუდმივად ხელმისაწვდომად არსებობისთვის.

- <u>დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი:</u> **სს მიკრობანკი „კრისტალი“** (საიდენტიფიკაციო კოდი 212896570) მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებთან მიმართებაში წარმოადგენს მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს. მისი საკონტაქტო მონაცემია შემდეგი ტელეფონის ნომერი: **0322022020**, ვებ გვერდი: **www.crystal.ge**

- <u>დამუშავებისთვის უფლებამოსილი პირი:</u> პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ბიზნეს და საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილების საჭიროებებიდან გამომდინარე იყენებს როგორც სხვა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირთა მონაცემთა ბაზებს, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში მონაცემების დამუშავებას ახორციელებს მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემების დამუშავების პროცესში მონაწილეობს უფლებამოსილი პირი, კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელდება კონკრეტული მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის წინასწარი ინფორმირება ზეპირი ან სხვა შესაძლებელი ფორმით, ხოლო მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე წერილობითი ფორმითაც.

- <u>დამუშავების საფუძველი:</u> პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება მომხმარებლის ინფორმირებული და ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლ(ებ)ით, მათ შორის ლეგიტიმური ინტერესის დაცვის მიზნით, რაც შეიძლება იყოს დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის ან მისი სხვა მომხმარებლების ფინანსური ან სხვა სახის ზიანის პრევენცია/ანაზღაურება, უსაფრთხოება ან/და მომხმარებელთა გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი მოთხოვნის რეალიზაცია;

- <u>დამუშავების მიზანი:</u> პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება მომხმარებლის მომართვის საფუძველზე შესაბამისი ფინანსური მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო მოცულობითა და მიზნით, მათ შორის პირის იდენტიფიცირების, ფინანსური ანალიზის, მომსახურების გაუმჯობესების, პირდაპირი მარკეტინგის ან/და სხვა თანმდევი საკანონმდებლო მოთხოვნების / ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით;

- <u>მონაცემთა მიწოდების სავალდებულოობა:</u> პერსონალური მონაცემების დამუშავება სავალდებულოა გამომდინარე იქიდან, რომ მონაცემების დამუშავების გარეშე, მოქმედი

კანონმდებლობით, ფინანსური მომსახურების გაწევის შესაძლებლობას მოკლებული იქნება სს მიკრობანკი „კრისტალი“, შესაბამისად მონაცემების დამუშავებაზე უარის თქმა გამოიწვევს მოთხოვნილ მომსახურების მიღებაზე უარს. აღნიშნული დათქმა არ ეხება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე

განხორციელებულ მონაცემთა დამუშავებას, მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებას, რამდენადაც აღნიშნულზე ვრცელდება ნებაყოფლობითობის პრინციპი და კრისტალის მხრიდან სრულად უზრუნველყოფილია თანხმობის გამოხმობის შესაძლებლობა.

- <u>პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:</u> სს მიკრობანკი „კრისტალის“, როგორც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს წარმოადგენს <u>მარიამ ჭოხონელიძე,</u> რომლის საკონტაქტო ელ.ფოსტაა <u>PDPO@crystal.ge</u>, ხოლო საკონტაქტო ტელეფონი <u>595534240</u>.**

- <u>მონაცემთა მიმღები:</u> პერსონალურ მონაცემთა მიმღები შესაძლოა იყვნენ კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში მხოლოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო(ები), მათ შორის საფინანსო სექტორის მარეგულირებელი და ზედამხედველი ორგანოები, როგორიცაა საქართველოს ეროვნული ბანკი, საფინანსო ზედამხედველობის სამსახური, ასევე საქართველოს სახალხო დამცველი, სსიპ შემოსავლების სამსახური, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო, სამართალდამცავი ორგანოები და სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში და საფუძვლით, რის გადამოწმებასაც უზრუნველყოფს მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი.

- <u>მონაცემთა გადაცემა:</u> საბანკო მომსახურების გაუმჯობესებისა და მომხმარებელზე მეტად მორგებული პირობების შეთავაზების მიზნით კრისტალში არსებული მომხმარებლების პერსონალური მონაცემები დამუშავდება ევროკავშირის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უფლებამოსილი პირისა და მისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და უსაფრთხოების ასევე ევროკავშირის კანონმდებლობით სრულყოფილი დაცვის ფარგლებში.

- <u>მონაცემთა შენახვის ვადა:</u> პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათ შორის შენახვა ხორციელდება როგორც აქტიური საფინანსო პროდუქტით სარგებლობის ვადით, ასევე მისი დასრულების შემდეგაც, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად და კომპანიის ლეგიტიმური ინტერესის დაცვის ფარგლებში, რაც გამოიხატება როგორც წარმოშობილი მოთხოვნის კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, ასევე კომპანიის კანონიერი ბიზნეს ინტერესით.

- <u>მონაცემთა სუბიექტის უფლებები:</u> განმცხადებელს, როგორც მონაცემთა სუბიექტს, პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით გააჩნია ინფორმაციის მიღების, მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების, მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების მოთხოვნის, დამუშავების შეწყვეტის, წაშლის, განადგურების, დაბლოკვის, გადატანის მოთხოვნის, თანხმობის გამოხმობისა და გასაჩივრების უფლებები, რომელთა რეალიზებისთვის კრისტალი უზრუნველყოფს სათანადო მექანიზმების არსებობას კომპანიაში.

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ინფორმაცია, მომხმარებელს, მოთხოვნისთანავე ასევე მიეწოდება წერილობითი ფორმით, მატერიალურადაც.